ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
უწყვეტი განათლების საგანმანათლებლო პროგრამის ანოტაცია

I. ზოგადი ინფორმაცია

<u>პროგრამის დასახელება</u>: წარმატებული ზრდის სტრატეგიები

კურსი მოიცავს გლობალიზებად სამყაროში სტრატეგიული კონკურენტუნარიანობის მიღწევისა და შენარჩუნების საკითხებს. მათი შესწავლა დაეხმარება პროფესიონალებს შეინარჩუნონ და გაიუმჯობესონ კონკურენტუნარიანობა სწრაფად ცვალებად გარემოში. ისინი გაეცნობიან ბიზნესის წარმართვის თანამედროვე მიდგომებსა და იდეებს, რომლებმაც წარმატება მოუტანეს ტრანსეროვნულ კომპანიებს.

<u>პროგრამის ხანგრძლივობა</u>: 4 თვე.

<u>პროგრამის განხორციელების ადგილი</u>: ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის X კორპუსი.

<u>პროგრამაში მონაწილეთა რაოდენობა</u>: არა ნაკლებ 5 და არა უმეტეს 25 მონაწილე.

<u>პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პირები</u>:

- დავით ნარმანია, ასოცირებული პროფესორი;
- გელა გრიგოლაშვილი, ასოცირებული პროფესორი;
- ეკა ჩოხელი, ასოცირებული პროფესორი;
- ნინო ფარესაშვილი, ასისტენტ პროფესორი;
- ეკა გულუა, ასისტენტ პროფესორი.

<u>პროგრამის ხელმძღვანელი</u>: გელა გრიგოლაშვილი.

<u>პროგრამაში ჩართვის წინაპირობა და პროგრამის სამიზნე ჯგუფი</u>: უმაღლესი ეკონომიკური განათლების მქონე ბიზნეს ორგანიზაციათა უმაღლესი რგოლის მენეჯერები.

<u>პროგრამის ღირებულება</u>: 2 ათასი ლარი თითოეული მონაწილისათვის, თუ ჯგუფში 5–მდე მსურველი შეიკრიბა, 5–დან 11–მდე მონაწილისთვის – 1500 ლარი, 11–დან 25–მდე მონაწილისთვის 100 ლარი.

<u>პროგრამის შემუშავების თარიღი</u>: 25.11.2010.

II. პროგრამის შინაარსი და მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:

<u>პროგრამის მიზნები და ამოცანები</u>: კურსი ეფუძნება ღია სისტემის თეორიას (systems theory).

- ძლიერი კონკურენციის პირობებში თანამედროვე მართვის მეთოდებისა და ხერხების გაცნობა;
- გლობალურ გარემო-პირობებში მოსალოდნელი შესაძლებლობებისა და საფრთხეების ანალიზის მეთოდების შესწავლა და შესაბამისი უნარ-ჩვევების განვითარება;
- სტრატეგიული კონკურენტუნარიანობის მიღწევის გზების გამონახვა სწრაფად ცვალებად გარემოში;

- სტრატეგიული უპირატესობის მისაღწევად საჭირო კრიტერიუმების სწორად შერჩევის უნარ-ჩვევების გამდიდრება.

<u>პროგრამის (მოსალოდნელი) შედეგები</u>: სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ქულების მოგროვებით მსმენელები შეძლებენ:

- ჯეროვნად შეაფასონ გარემოში მიმდინარე ცვლილებები და მოსალოდნელი შესაძლებლობები და საფრთხეები;
- შეარჩიონ საინფორმაციო წყაროები და მოიპოვონ სათანადო საანალიზო ინფორმაცია;
- აარჩიონ სტრატეგიის ტიპი სტრატეგიული კონკურენტუნარიანობის მოსაპოვებლად გლობალურ სწრაფად ცვალებად გარემოში;
- მოახდინონ კომპანიის მისიის კორექტირება;
- შეადგინონ გარემოს გამოწვევებს მისადაგებული ორგანიზაციული სტრუქტურა;
- შეარჩიონ სათანადო ოპერაციული სტრატეგია;
- დაგეგმონ ორგანიზაციული კონტროლის სისტემა;
- შეიმუშაონ ინოვაციური პროექტის განსახორციელებელი სტრატეგია და დროებითი ორგანიზაციული სტრუქტურა.

<u>პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი</u>

#	კვირ.	ძირთადი საკითხები	ლიტერატურა	ლექტორები
1	I	სტრატეგიული დანახარჯები	The Management of Strategy (Concept and Cases) 8th Edition. R. Duane Ireland, Robert E. Hoskisson and Michael A. Hitt. p. 1-94	გელა გრიგოლაშვილი
2	II-III	სტრატეგიის შემუშავება	The Management of Strategy (Concept and Cases) 8th Edition. R. Duane Ireland, Robert E. Hoskisson and Michael A. Hitt. p. 95-272	გელა გრიგოლაშვილი ეკა ჩოხელი
3	IV	სტრატეგიის განხორციელება, კონტროლი და შეფასება	სტრატეგიული მენეჯმენტი / კონცეფციები და ბიზნეს სიტუაციები. ართურ ა. ტომპსონი უმცროსი, ა. ჯ.	გელა გრიგოლაშვილი ეკა ჩოხელი

			სტრიკლენდი III. გამ. „შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი“. საქართველო 2010. გვ.446-600	
4	V	ოპერაციული სტრატეგია და ცვლილებათა მართვა	Operations management / William J. Stevenson. – 7th ed. p.3-67, 765-815	გელა გრიგოლაშვილი
5	VI-VII	პროდუქტის დაპროექტება და პროცესის არჩევა	Operations and process management. Principe and practice for strategic impact/Niger Slack, Stuart Chambers, Robert Johnston, Alan Betts. -5th ed. p.101-204	გელა გრიგოლაშვილი ეკა ჩოხელი
6	VIII-IX	მიწოდების მწკრივის დაპროექტება და კონტროლი	Производственный и операционный менеджмент, 10-е издание: Пер. С англ. – М.: ООО «И. Д. Вильямс», 2008. ст.517-612. Operations Management / Jay Heizer, Barry Render. -8th ed. p. 429-549	ეკა ჩოხელი ნინო ფარესაშვილი
7	X	ეკონომიკური რისკების ადგილი და როლი მართვის პროცესში	Шапкин А.С., Шапкин В.А. Теория риска и моделирование рисковых ситуаций: Учебник. – 2-е изд. – М.: Издателско-торговая корпорация «Дашков и КО», 2007. ст.7-85	დავით ნარმანია ეკა გულუა
8	XI	ფინანსური რისკების მართვა	იგივე. გვ.165-284	დავით ნარმანია
9	XII	კვეთკულტურული მენეჯმენტი	International management: culture and beyond / Richard Mead and Tim G. Endrews. -4th ed. 2009.	გელა გრიგოლაშვილი

			p.1-110.	
10	XIII-XIV	საერთაშორისო მენეჯმენტი	იგივე. გვ.225-260, 405-437.	გელა გრიგოლაშვილი
11	XV-XVI	ზრდის სტრატეგიები	On Strategies for Growth / Harvard Business Review. 2007. p.9-200	გელა გრიგოლაშვილი

გარდა მითითებული ლიტერატურისა პროგრამის მონაწილეებს საჭიროებისა და მათი სურვილის შემთხვევაში დაურიგდებათ ლექტორების მიერ ქართულ ენაზე მომზადებული სალექციო მასალები.

<u>მისანიჭებელი კრედიტები</u> 10 ECTS (250 საათი, მათ შორის: 96 საკონტაქტო და 154 დამოუკიდებელი მუშაობისათვის)

<u>ლექციათა ხანგრძლივობა და სიხშირე:</u> ლექციები ჩატარდება კვირაში 2-ჯერ 3-3 საათის განმავლობაში, ლექციებს შორის 10 წუთიანი შესვენებებით, საღამოს 18.00-დან 21.00-მდე შემდეგი ფორმატით - ორი ლექცია, ერთი პრაქტიკული ან ერთი ლექცია, ერთი სემინარი და ერთი პრაქტიკული მეცადინობა.

<u>მონაწილეთა შეფასების სისტემა</u>: *საბოლოო შედეგი შეადგენს **100** ქულას.*

- *მონაწილე, რომელიც სისტემატურად უმაღლესი აკადემიური მისწრებით გამოირჩევა, დაიმსახურებს **10** სასემინარო ქულას, რომლის უზრუნველყოფა მასალის სიღრმისეული ცოდნით, საკითხებისადმი საკუთარი ხედვით და ანალიზის განვითარებული უნარითაა შესაძლებელი. ამ კრიტერიუმების ნაწილობრივი დაკმაყოფილების შემთხვევაში ქულა შესაბამისად დაიკლებს, ხოლო გადაცემული მასალის არა უმეტეს მეხუთედი ნაწილის ჩაბარების შემთხვევაში შეფასება ნულოვანი იქნება.*
- *შუალედური გამოცდების ჯამური მაქსიმალური ქულაა **30**. შუალედური გამოცდა ჩატარდება ორჯერ წერილობით და **15-15** ქულით შეფასდება. პასუხი უნდა გაეცეს 3 საკითხს, რომელთა მაქსიმალური შეფასება 5 ქულით განისაზღვრება. უმაღლესი ქულის უზრუნველყოფა ზემოთ მოყვანილ პუნქტში მითითებული კრიტერიუმების დაკმაყოფილებითაა შესაძლებელი.*
- *ტესტირება ჩატარდება ხუთჯერ (I.1-3, II.4-6, III.7-8, IV.9-10, V.11). თითოეული ტესტირება ერთი ქულით ფასდება, რომლის მისაღებად კითხვების სულ ცოტა 80 პროცენტს უნდა გაეცეს სწორი პასუხი.*

- *კურსის ბოლო კვირას მცირე ჯგუფებად (2-5 კაცი) გაერთიანებულმა მონაწილეებმა მათ მიერ არჩეულ საკითხზე უნდა წარმოადგინონ რეფერატი და გააკეთონ ჯგუფური პრეზენტაცია, რომლის შეფასების უმაღლესი ქულაა **10**. შეფასება მოხდება 5 ქვეკრიტერიუმით. კერძოდ, ა) თემის აქტუალობა, ბ) კვლევის სიღრმე, გ) ჯგუფური წარდგენა, დ) კითხვებზე პასუხები და ე) წარდგენის გარეგნული სახე. თითოეული ქვეკრიტერიუმის წონაა 2 ქულა.*
- *საგამოცდო უმაღლესი ქულაა **40.** გამოცდა ჩატარდება წერითი სახით. პასუხი უნდა გაეცეს 4 საკითხს; თითოეული 10 ქულით შეფასდება.*
- *ლექცია-სემინარებზე დასწრების მაქსიმალური ქულაა **5**.*
- *საპატიო მიზეზთა გარდა შუალედურ გამოცდათა გადავადება გათვალისწინებული არ არის.*

შეფასების კრიტერიუმები:

ლექციებზე და სემინარებზე დასწრება	**5 ქულა**
სემინარებში მონაწილეობა	**10 ქულა**
შუალედური შემოწმება (კოლოქვიუმი)	**30 ქულა**
ტესტური შემოწმება	**5 ქულა**
რეფერატი და ჯგუფური პრეზენტაცია	**10 ქულა**
გამოცდა	**40 ქულა**
სულ	**100**

საუნივერსიტეტო დებულებით მაქსიმალური შეფასება **100** ქულას შეადგენს და მისი უზრუნველყოფა გარანტირებულია შეფასების შემდეგი კრიტერიუმებით უმაღლესი ქულების დაგროვების შემთხვევაში.

განაწილება შემდეგნაირად გამოიყურება:

0-40 სრულიად არადამაკმაყოფილებელი;

41-50 არადამაკმაყოფილებელი;

51-60 დამაკმაყოფილებელი;

61-70 საშუალო;

71-80 კარგი;

81-90 ძალიან კარგი;

91-100 ფრიადი.

სერტიფიკატის მინიჭების მოთხოვნები: მონაწილეს სერტიფიკატის მისაღებად სჭირდება საშუალოდ არა ნაკლებ 81 ქულის მოგროვება 11-ვე პოზიციის გათვალისწინებით. მონაწილეს, რომელიც 96 ქულაზე მეტს მოაგროვებს, გადაეცემა განსხვავებული სერტიფიკატი, სადაც აღნიშნული იქნება, რომ მან წარჩინებით დაასრულა აღნიშნული კურსი. 51-დან 81 ქულამდე მოგროვების შემთხვევებში მონაწილეების მიეცემათ კურსის მონაწილის დამადასტურებელი მოწმობა. უფრო ნაკლები ქულების მოგროვებისას კი რაიმეგვარი საბუთი არ გაიცემა.

პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური რესურსები: უნივერსიტეტის ხელთ არსებული მატერიალური რესურსები. კერძოდ: სალექციო აუდიტორია კომპიუტერი ხმის აქსესუარებით და დიაპროექტორი.